ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე შედგენილია გამონამუშევრების სვეტები, მათთან ერთად საძირკვლის ჭრილები, აგრეთვე უბნის განივი და გრძივი გეოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი გრაფიკული მასალიდან ჩანს, საკვლევ უბანზე, მიწის ზედაპირიდან 1,8–6,8 მ სიღრმემდე გავრცელებულია ტექნოგენური გრუნტი (tQIV) – ნაყარი – ლოდების, ღორღის, სამშენებლო ნაგვის ნარევი (ფენა 1). მის ქვეშ, 8,1–8,3 მ სიღრმემდე, განლაგებულია კულტურული ფენა (tQIV) – თიხნარი ყავისფერი, ხვინჭის და ძველი აგურის წვრილი ნატეხების იშვიათი ჩანართებით (ფენა 2). აღნიშნული ფენის ქვეშ, 16,0–19,8 მ სიღრმემდე, გავრცელებულია დელუვიური ნალექები (dQIV) – თიხნარი ყავისფერი, ხვინჭის და წვრილი ღორღის ჩანართებით 20%-მდე (ფენა 3).

უბანზე, რამდენიმე ადგილას (შ №1, ჭაბ. №2, შ/ბ №5), გამონამუშევრებში დაფიქსირდა ძველი შერეული წყობის (აგურის და ყორეს) კედელი, კირის ხსნარის შემავსებლით. მისი სიმძლავრე 5,8–6,3 მ-ია.

თიხოვანი ფენის ქვეშ, ე.ი. 16,0–19,8 მ სიღრმიდან გავრცელებულია ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანები – თიხოვანი ქვიშაქვებისა და არგილითების მორიგეობა, გამოფიტული (ფენა 4). ეს ფენა, ეროზიული ზედაპირიდან ~0,5–0,7 მ სიღრმემდე, შედარებით მეტადაა გამოფიტული.

როგორც აღინიშნა შესავალ ნაწილში, გაშიშვლდა უბნის ირგვლივ დარჩენილი შენობების საძირკვლები. მათი აღწერა მოცემულია დართულ გრაფიკულ მასალაზე (ფურცელი №№2–4).

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით, საკვლევი უბანი ხასიათდება გრუნტის წყლის არსებობით, რომლის გამოვლინება გამონამუშევრებში დაფიქსირდა მიწის ზედაპირიდან 6,8–7,0 მ სიღრმეზე. დამყარების დონეებია 6,5–6,7 მ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამონამუშევრებიდან აღებული იყო თიხოვანი გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 15 ნიმუში. ლაბორატორიაში განისაზღვრა გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი.

ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგები ერთვის წინამდებარე დასკვნას კრებსითი ცხრილის, აგრეთვე კომპრესიული და ძვრაზე გამოცდების გრაფიკების სახით.

ქვემოთ, ცხრილ №1-ში მოცემულია გრუნტის ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების მნიშვნელობების ცვალებადობის დიაპაზონი და მათი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 1

№№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	–	0,12 – 0,17	0,15
2	ტენიანობა		W	%	23,6 – 30,4	27,2
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,83 – 1,99	1,91
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,42 – 1,59	1,50
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,70	2,70
4	ფორიანობა		n	%	41,1 – 45,6	44,5
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,698 – 0,901	0,752
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	$\frac{0,32-0,46}{0,51-0,68}$	$\frac{0,40}{0,62}$
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	–	0,80 – 0,98	0,91

როგორც ცხრილიდან ჩანს, შესწავლილი გრუნტი მიეკუთვნება თიხნარს (I_p=0,12–0,17), რომლის კონსისტენცია, ძირითადად, რბილპლასტიკურია (I_L=0,51–0,68), 14 განსაზღვრიდან მხოლოდ სამ შემთხვევაში დაფიქსირდა მყარპლასტიკური კონსისტენცია. ტენიანობის ხარისხის (S_r) მნიშვნელობა მხოლოდ ერთ შემთხვევაში ტოლია 0,8-ის, დანარჩენ შემთხვევაში მეტია ამ კრიტერიუმზე (0,85–0,98), რაც მიანიშნებს, რომ გრუნტის ფორები თითქმის მთლიანად შევსებულია წყლით.

მახასიათებლების საშუალო მნიშვნელობები შეიძლება გამოყენებული იქნას გაანგარიშებისას, როგორც ნორმატიული.

გამონაკლისს წარმოადგენს გრუნტის სიმკვრივის სიდიდე „ρ". რადგანაც იგი შედის ფუძის გაანგარიშების ფორმულაში, სნ და წ 2.02.01–83-ის მოთხოვნის შესაბამისად, ჩატარდა მიღებული მნიშვნელობების სტატისტიკური დამუშავება, სახსტანდარტი 20522–75 მეთოდიკის შესაბამისად და მიღებულია ამ სიდიდის ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები.

სტატისტიკური დამუშავების შედეგები ერთვის დასკვნას, დანართი 1 სახით. ისინი შეტანილია დასკვნით ნაწილში, ცხრილში.

კომპრესიული გამოცდები (6 გამოცდა) ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშებზე, P=0,5 კგძ/სმ^2 საფეხურებრივი დატვირთვებით, P=4,0 კგძ/სმ^2-მდე.

ქვემოთ მე-2 ცხრილში მოგვყავს ჯდენის მოდულის სიდიდეები P=2,0 კგძ/სმ^2 დატვირთვისათვის (გრუნტის სავარაუდო საანგარიშო წინადობა) და P=3,0 კგძ/სმ^2 დატვირთვებზე (დატვირთვა, რომლის დროსაც ხდება გრუნტის კუმშვადობის შეფასება ℓp-ს მიხედვით), აგრეთვე დეფორმაციის თავისუფალი მოდულის მნიშვნელობა P=1,0–2,0 კგძ/სმ^2 დატვირთვების დიაპაზონში.

ცხრილი 2

№№	ჭაბურღილის №	აღების სიღრმე, მ	გრაფიკის №	ჯდენის მოდული ℓp მმ/მ		დეფორმაციის მოდული E კგძ/სმ^2 P=1,0-2,0 კგძ/სმ^2 დატვირთვების ინტერვალში
				P=2,0 კგძ/სმ^2	P=3,0 კგძ/სმ^2	
1	2	8,5	1	57	69	$\frac{74+105+130}{3}=103$
2	2	13,5	2	56	69	$\frac{82+101+136}{3}=106$
3	3	9,5	3	59	72	$\frac{86+118+120}{3}=108$
4	3	11,0	4	65	80	$\frac{63+90+115}{3}=89$
5	5	8,5	5	60	75	$\frac{74+88+133}{3}=98$
6	5	10,0	6	58	72	$\frac{58+101+140}{3}=100$
საშუალო მნიშვნელობები				59	73	101

ცხრილის მიხედვით, შესწავლილი თიხნარები მიეკუთვნებიან ძლიერი კუმშვადობის კატეგორიას, ვინაიდან ჯდენის მოდულის მნიშვნელობა $\overline{\ell p_{3,0}}$ =73>60 მმ/მ. კონკრეტული დატვირთვებისას, $\overline{\ell p_{2,0}}$ =59 მმ/მ, რაც მიღებული იქნას გაანგარიშებისას.

დეფორმაციის თავისუფალი მოდულის საშუალო მნიშვნელობები, $\overline{E}$ =101 კგძ/სმ^2, რაც აგრეთვე მიღებულ იქნას გაანგარიშებისას.

გრუნტის ძვრაზე გამოცდები (6 გამოცდა) ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშებზე 0,05; 0,10; 0,15; მპა დატვირთვებზე.

მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები:

შინაგანი ხახუნის კუთხე φ=10–12°;

ხვედრითი შეჭიდულობა c=14–20 კპა (0,14–0,20 კგძ/სმ^2).

რადგან გრუნტის სიმტკიცის მახასიათებლები შედის ფუძის გაანგარიშების ფორმულაში, სნ და წ 2.02.01–83-ის შესაბამისად, სახსტანდარტი 20522–75-ში შემუშავებული მეთოდიკით, ჩატარდა ლაბორატორიული გამოცდების შედეგების სტატისტიკური დამუშავება და მიღებულია ამ სიდიდეების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები. მასალები ერთვის წინამდებარე დასკვნას, დანართი 2-ის სახით, ხოლო საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია დასკვნით ნაწილში, ცხრილში.

საკვლევ უბანზე გავრცელებული ძირითადი ქანების მდგენელი ფენები, მოცემულ რეგიონში ჩატარებული ლაბორატორიული გამოცდების თანახმად (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის ლაბორატორია) მიეკუთვნებიან: ქვიშაქვები, სნ და წ 2.01.01–83-ის დამხმარეს №1 ცხრილის მიხედვით – კლდოვან, საშუალო სიმტკიცის, დარბილებად გრუნტს, ხოლო არგილითები – დარბილებად, დაბალი სიმტკიცის, ნახევრადკლდოვან გრუნტს.

ძირითადი ქანები მთლიანი მასივისათვის, სიმტკიცის ზღვრის ნორმატიულ მნიშვნელობად მიღებულია $R_{c,n}$=80 კგძ/სმ^2 (სიმტკიცის ზღვრის ეს მნიშვნელობა გამოყენებულია მიწერილობაში ჩამოთვლილი ობიექტებისათვის).

გრუნტების წყლოვანი გამონაჟურის ქიმიური ანალიზების თანახმად, თიხოვანი გრუნტები და არგილითები მიეკუთვნებიან დამარილიანებულს.

საკვლევ უბანზე გავრცელებული გამოკვლეული წყალი-გარემო დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონების მიმართ ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

1. პორტლანდცემენტის სახსტანდარტი 10178-76 გამოყენებისას:
   ა) საშუალოდ აგრესიულია W$_4$ მარკის წყალშეუღწევადი ბეტონის მიმართ;
   ბ) სუსტად აგრესიულია W$_6$ მარკის წყალშეუღწევადი ბეტონის მიმართ;
   გ) არააგრესიულია W$_8$ მარკის წყალშეუღწევადი ბეტონის მიმართ.
2. პორტლანდცემენტის სახსტანდარტი 10178-76 კლინკერში ჩანართებით C$_3$S არაუმეტეს 65%, C$_3$A არაუმეტეს 7%, C$_3$A+C$_4$AF არაუმეტეს 22%, წიდაპორტლანდცემენტის და, აგრეთვე, სულფატმდგრადი სახსტანდარტი 22266-76 ცემენტების გამოყენებისას, არააგრესიულია W$_4$–W$_6$–W$_8$ მარკის წყალშეუღწევადობის ბეტონების მიმართ.

   არმატურის მიმართ:
   ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;
   ბ) საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებული სამუშაოების მონაცემების საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, საკვლევი ტერიტორია არ ხასიათდება არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენების არსებობით.

   საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო მოედანი, სნ და წ 1.02.07–87 მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

2. უბნის ამგებ გრუნტებში შეიძლება გამოიყოს 2 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (**სგე**):

   I სგე – თიხნარები (ფენები 2, 3);
   II სგე – ძირითადი ქანი (ფენა 4), შედარებით გამოფიტული, ~0,5 მ მოხსნის შემდეგ.

   ტექნოგენური გრუნტი – ნაყარი (ფენა 1), არაერთგვაროვანი აგებულების და მოჭრის აუცილებლობის გამო, როგორც **სგე**, არ განიხილება.

3. უბნის გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, დაფუძნების ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად მიგვაჩნია რკინაბეტონის წიბოვანი ფილა, ფენები 2 და 3-ის თიხოვან გრუნტებზე, როგორც ეს ტექნიკური დავალებითაა გათვალისწინებული.

   ფუძის გრუნტების სეისმური თვისებების მიხედვით III კატეგორიის გამო (რბილპლასტიკური თიხნარი), საძირკვლების ქვეშ, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას შრეობრივად (0,20–0,25 მ) მოტკეპნილი ხრეშ-კენჭნარის ან ღორღის ბალიში (სნ და წ 2.02.01–83 პ. 10.6-ის რეკომენდაცია)

   შესაძლებელია შენობის დაფუძნება ბურღვით-ნატენი ხიმინჯებით II **სგე**-ს გრუნტზე.

4. ფუძის გაანგარიშებისათვის ქვემოთ, ცხრილ 3-ში მოცემულია ორივე **სგე**-ს გრუნტების საანგარიშო მახასიათებლები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების, სნ და წ 2.02.01–83-ის ცხრილი 3, საფონდო მასალების, და საცნობარო ლიტერატურის მიხედვით.

ცხრილი 3

№№	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო მნიშვნელობები		I ზმე (ფენები 2, 3)	II ზმე (ფენა 4)
1	სიმკვრივე ρ გ/სმ³	II ზღვრული მდგომარეობისათვის (ფუძის გაანგარიშება დეფორმაციაზე)	$\frac{\rho^1_{\|\|}}{\rho^2_{\|\|}}$	$\frac{1,93}{1,89}$	2,20
		I ზღვრული მდგომარეობისათვის (ფუძის გაანგარიშება მზიდუნარიანობაზე)	$\frac{\rho^1_{\|}}{\rho^2_{\|}}$	$\frac{1,94}{1,88}$	–
2	ხვედრითი შეჭიდულობა C კპა (კგძ/სმ²)	II ზღვრული მდგომარეობისათვის	$C_{\|\|}$	14 (0,14)	–
		I ზღვრული მდგომარეობისათვის	$C_{\|}$	12 (0,12)	
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	II ზღვრული მდგომარეობისათვის	$\varphi_{\|\|}$	10	–
		I ზღვრული მდგომარეობისათვის	$\varphi_{\|}$	9	
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ²)			10 (100)	–
5	საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ²)			200 (2,0)	–
6	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c,n}$ მპა (კგძ/სმ²)			–	8 (80)
7	საგების კოეფიციენტი k კგ/სმ³			3,0	100
8	პუასონის კოეფიციენტი μ			0,35	0,20

5. ხიმინჯოვანი საძირკვლების გამოყენების შემთხვევაში, საგების კოეფიციენტის საანგარიშო მნიშვნელობა (Cz), აიღება სნ და წ 2.02.03–85 რეკომენდებული დანართი 1-ის მითითებების მიხედვით.

6. ფენობრივად მოტკეპნილ ხრეშ-კენჭნარის, ან ღორღის ბალიშის დეფორმაციის მოდული შეიძლება მიღებულ იქნას E=35 მპა (350 კგძ/სმ²).

7. უბანზე დაფიქსირებული გრუნტის წყლის დონის მერყეობის ამპლიტუდად მიღებულ იქნას ±0,5 მ, ბურღვის დროს დაფიქსირებულ დამყარების დონესთან შედარებით.

8. გრუნტის წყლის სულფატური აგრესიულობის გამო, მასში მოხვედრილი კონსტრუქციებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას:
   – პორტლანდცემენტი სახსტანდარტი 10178–76 კლინკერში ჩანართებიანი C_3S არაუმეტეს 65%, C_3A არაუმეტეს 7%, C_3A+C_4AF არაუმეტეს 22%;
   – წიდაპორტლანდცემენტი, სულფატმდგრადი სახსტანდარტი 22266-76 ცემენტები;
   – სახსტანდარტი 10178–76 პორტლანდცემენტზე დამზადებული W8 მარკის წყალშეუღწევადი ბეტონი.

9. ქვაბულის ამოღებისას, წყალქცევითი სამუშაოების ჩატარებისას, წყლის მოდენი, ქვაბულის ან თხრილების ყოველ მ²-ზე მიღებულ იქნას 0,03 ლ/წმ.

10. საქართველოს ტერიტორიის ზოგადი სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით, ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში (საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს 1991 წლის 7 ივნისის დადგენილება №42).

უბანზე გავრცელებული გრუნტები, სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება (სნ და წ II–7–81, ცხრ. 1) III კატეგორიას.

11. ქვაბულის ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებული იქნას სნ და წ 3.02.01–87 პ.პ. 3.11, 3.12, 3.15 და სნ და წ III-4-80 მე-9 თავის მიხედვით.

12. დამუშავების სიძნელის მიხედვით, საკვლევ უბანზე გავრცელებული გრუნტები სნ და წ IV–2-82 I–I ცხრილის თანახმად მიეკუთვნებიან:
    ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) და ძველი კედლების ნარჩენები – დამუშავების სამივე სახეობისათვის – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1900 კგ/მ³ (რიგ. №24ბ);
    ბ) თიხოვანი გრუნტები (ფენები 2, 3) – დამუშავების სამივე სახეობისათვის – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1750 კგ/მ³ (რიგ. №33ბ).

13. ბურღვით-ნატენი ხიმინჯების გამოყენებისას, ხიმინჯების მოსაწყობად გაყვანილი ჭაბურღილებისათვის, გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ბურღვის მეთოდისა და სიძნელის, აგრეთვე მათი მდგრადობიდან გამომდინარე, აიღება სნ და წ IV–2–82 მე-4 კრებულის (ჭაბურღილები) 4–5 და 4–6 ცხრილებიდან.

ინჟინერ გეოლოგი — გ. ზაგაშვილი

მთავარი სპეციალისტი — ბ. შუსტოვი

საინჟინრო კვლევების განყოფილების მთავარი გეოლოგი — ზ. კვაჭანტირაძე

განყოფილების უფროსი — ს. სირაძე

ასლი სწორია სს „საქქალაქმშენპროექტის"
სამართალმემკვიდრე შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"

დირექტორი — ბ. მირიანაშვილი

| ს.ს. „საქალაქმშენპროექტი“ ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ.№74 | ბრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები | | |

ს.ს. „საძძალაძშენპროექტი“ ძ. თბილისი ი.ჭავჭავაძის პრ.№74	ბრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები	საინჟ. კვლევების განყოფილება ბრუნტების და ფუძეების კვლევის ლაბორატორია

ობიექტის დასახელება: ძ. თბილისი. კუშკინის ქ. №17-ში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა

ჭაბურღილი № 2 | ალების სიღრმე h = 8,5 მ | ნიმუშის სახე: მონოლითი | ლაბორ.№ 276

ცდა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშზე

ბრაფიკი № 1



ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები				საწ.	საბ.
ბუნებრივი ტენიანობა		W	%	28,6	24,4
სიმკვრივე გ/სმ³	ბრუნტის	ρ		1,91	2,02
	მშრალი ბრუნტის	ρ_d		1,49	1,62
	ბრუნტის ნაწილაკ.	ρ_S		2,70	
ფორიანობა		n	%	44,8	40,0
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,812	0,667
ტენიანობის ხარისხი		Sr	–	0,95	0,99
პლასტი-კურობა	ზედა ზღვარი	W_L	–	0,36	
	ქვედა ზღვარი	W_p	–	0,19	
	რიცხვი	I_p	–	0,17	
კონსისტენციის მაჩვენებელი		I_L	–	0,56	0,32

ბრუნტის დასახელება პლასტი-კურობის რიცხვის მიხედვით		
Ip	0,17	თიხნარი

ვერტიკალური დატვირთვა		P	მპა	0	0,05	0,1	0,15	0,2	0,25	0,3	0,35	0,4
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,812	0,767	0,741	0,723	0,709	0,698	0,687	0,678	0,669
ჯდენის მოდული		ℓ_p	მმ/მ	0	25	39	49	57	63	69	74	79
კუმშვადობის კოეფიციენტი		a	10^{-5} პა$^{-1}$		0,090	0,052	0,036	0,028	0,022	0,022	0,018	0,018
დეფორმაციის მოდული (საერთო)	კომპ	E	მპა		1,0	1,8	2,5	3,1	4,2	4,2	5,0	5,0
	თავის	E	მპა		3,8	7,4	10,5	13,0	18,1	18,1	22,0	22,0

ინჟინერი ნ. სურგულაძე წამყვანი ინჟინერ გეოლოგი დ. ახობაძე

ს.ს. „საძძალაძშენპროექტი“ ძ. თბილისი ი.ჭავჭავაძის პრ.№74	ბრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები	საინჟ. კვლევების განყოფილება ბრუნტების და ფუძეების კვლევის ლაბორატორია

ობიექტის დასახელება	ძ. თბილისი. კუშკინის ქ. №17-ში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა	
ჭაბურღილი № 2	ალების სიღრმე h = 13,5 მ	ნიმუშის სახე: მონოლითი ლაბორ.№ 279

ცდა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშზე



ბრაფიკი № 2

ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები				საწ.	საბ.
ბუნებრივი ტენიანობა		W	%	27,5	24,1
სიმკვრივე	ბრუნტის	ρ	გ/სმ³	1,95	2,02
	მშრალი ბრუნტის	ρ_d		1,53	1,63
	ბრუნტის ნაწილაკ.	ρ_s		2,70	
ფორიანობა		n	%	43,3	39,6
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,765	0,656
ტენიანობის ხარისხი		Sr	–	0,97	0,99
პლასტი-კურობა	ზედა ზღვარი	W_L	–	0,34	
	ქვედა ზღვარი	W_p	–	0,18	
	რიცხვი	I_p	–	0,16	
კონსისტენციის მაჩვენებელი		I_L	–	0,59	0,38

ბრუნტის დასახელება პლასტი-კურობის რიცხვის მიხედვით		
Ip	0,16	თიხნარი

ვერტიკალური დატვირთვა		P	მპა	0	0,05	0,1	0,15	0,2	0,25	0,3	0,35	0,4
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,765	0,723	0,700	0,680	0,666	0,654	0,643	0,633	0,624
ჯდენის მოდული		ℓ_p	მმ/მ	0	24	37	48	56	63	69	75	80
კუმშვადობის კოეფიციენტი		α	10^{-5} პა$^{-1}$		0,084	0,046	0,040	0,028	0,024	0,022	0,020	0,018
დეფორმაციის მოდული (საერთო)	კომპ	E	მპა		1,0	1,9	2,3	3,1	3,6	4,2	4,2	5,0
	თავის	E	მპა		4,2	8,2	10,1	13,6	16,2	19,3	19,3	24,0

ინჟინერი ნ. სურგულაძე

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი დ. ახობაძე

ს.ს. „საძძალაშშენპროექტი“ ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №74	ბრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები	საინჟინრო კვლევების განყოფილება ბრუნტების და ფუძეების კვლევის ლაბორატორია

ობიექტის დასახელება	ქ. თბილისი. კუშკინის ქ. №17-ში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა	
ჭაბურღილი № 3	ალების სიღრმე h = 9,5 მ	ნიმუშის სახე: მონოლითი ლაბორ.№ 282

გრაფიკი № 3

ცდა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშზე



გრუნტის ფიზიკური მახასიათებლები				საწ.	საბ.
ბუნებრივი ტენიანობა		W	%	29,2	24,4
სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,93	2,03
	მშრალი გრუნტის	ρ_d		1,49	1,63
	გრუნტის ნაწილაკ.	ρ_s		2,70	
ფორიანობა		n	%	44,8	39,6
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,812	0,656
ტენიანობის ხარისხი		Sr	–	0,97	1,00
პლასტი-კურობა	ზედა ზღვარი	W_L	–	0,35	
	ქვედა ზღვარი	W_p	–	0,19	
	რიცხვი	I_p	–	0,16	
კონსისტენციის მაჩვენებელი		I_L	–	0,64	0,34

გრუნტის დასახელება პლასტი-კურობის რიცხვის მიხედვით		
Ip	0,16	თიხნარი

ვერტიკალური დატვირთვა		P	მპა	0	0,05	0,1	0,15	0,2	0,25	0,3	0,35	0,4
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,812	0,759	0,738	0,721	0,705	0,692	0,682	0,671	0,660
ჯდენის მოდული		ℓ_p	მმ/მ	0	29	41	50	59	66	72	78	84
კუმშვადობის კოეფიციენტი		α	10^{-5} პა$^{-1}$		0,106	0,042	0,034	0,032	0,026	0,021		
დეფორმაციის მოდული (საერთო)	კოშტ.	E	მპა		0,9	2,1	2,8	2,8	3,6	4,2		
	ტანის	E	მპა		3,5	8,6	11,8	12,0	15,5	18,5		

ინჟინერი ნ. სურგულაძე

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი დ. ახობაძე

ს.ს. „საძძალაძშენპროექტი“ ძ. თბილისი ი.ჭავჭავაძის პრ.№74	ბრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები	საინჟ. კვლევების განყოფილება ბრუნტების და ფუძეების კვლევის ლაბორატორია

ობიექტის დასახელება	ძ. თბილისი. კუშკინის ქ. №17-ში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა	
ჭაბურღილი № 3	ალების სიღრმე h = 11,0 მ	ნიმუშის სახე: მონოლითი ლაბორ.№ 283

ცდა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშზე

ბრაფიკი № 4



ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები				საწ.	საბ.
ბუნებრივი ტენიანობა		W	%	27,7	25,5
სიმკვრივე	ბრუნტის	ρ	გ/სმ³	1,85	2,01
	მშრალი ბრუნტის	ρ_d		1,45	1,60
	ბრუნტის ნაწილაკ.	ρ_s		2,70	
ფორიანობა		n	%	46,3	40,7
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,862	0,688
ტენიანობის ხარისხი		Sr	–	0,87	1,00
პლასტი-კურობა	ზედა ზღვარი	W_L	–	0,31	
	ქვედა ზღვარი	W_p	–	0,19	
	რიცხვი	I_p	–	0,12	
კონსისტენციის მაჩვენებელი		I_L	–	0,72	0,54

ბრუნტის დასახელება პლასტი-კურობის რიცხვის მიხედვით		
Ip	0,12	თიხნარი

ვერტიკალური დატვირთვა		P	მპა	0	0,05	0,1	0,15	0,2	0,25	0,3	0,35	0,4
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,862	0,806	0,778	0,758	0,741	0,726	0,713	0,702	0,691
ჯდენის მოდული		ℓ_p	მმ/მ	0	30	45	56	65	73	80	86	92
კუმშვადობის კოეფიციენტი		α	10^{-5} პა$^{-1}$		0,112	0,056	0,040	0,034	0,030	0,026	0,022	0,022
დეფორმაციის მოდული (საერთო)	კომპ	E	მპა		0,8	1,7	2,3	2,8	3,1	3,5	4,2	4,2
	თავის	E	მპა		2,7	6,3	9,0	11,5	12,7	14,7	18,1	18,1

ინჟინერი ნ. სურგულაძე წამყვანი ინჟინერ გეოლოგი დ. ახობაძე

ს.ს. „საძძალაძშენპროექტი“ ძ. თბილისი ი.ჭავჭავაძის პრ.№74	ბრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები	საინჟ. კვლევების განყოფილება ბრუნტების და ფუძეების კვლევის ლაბორატორია

ობიექტის დასახელება	ძ. თბილისი. კუშკინის ქ. №17-ში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა	
შ/ბ № 5	აღების სიღრმე h = 8,5 მ	ნიმუშის სახე: მონოლითი ლაბორ.№ 288

ბრაფიკი № 5

ცდა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშზე



ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები				საწ.	საბ.
ბუნებრივი ტენიანობა		W	%	29,5	24,1
სიმკვრივე გ/სმ³	ბრუნტის	ρ		1,93	2,02
	მშრალი ბრუნტის	ρd		1,49	1,63
	ბრუნტის ნაწილაკ.	ρs		2,70	
ფორიანობა		n	%	44,8	38,6
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,812	0,656
ტენიანობის ხარისხი		Sr	–	0,98	0,99
პლასტი-კურობა	ზედა ზღვარი	W_L	–	0,35	
	ქვედა ზღვარი	W_p	–	0,19	
	რიცხვი	I_p	–	0,16	
კონსისტენციის მაჩვენებელი		I_L	–	0,66	0,32

ბრუნტის დასახელება პლასტი-კურობის რიცხვის მიხედვით		
Ip	0,16	თიხნარი

ვერტიკალური დატვირთვა		P	მპა	0	0,05	0,1	0,15	0,2	0,25	0,3	0,35	0,4
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,812	0,765	0,740	0,718	0,703	0,689	0,676	0,663	0,653
ჯდენის მოდული		ℓ_p	მმ/მ	0	26	40	52	60	68	75	82	88
კუმშვადობის კოეფიციენტი		α	10^{-5} პა$^{-1}$		0,094	0,050	0,044	0,030	0,028	0,026	0,026	0,020
დეფორმაციის მოდული (საერთო)	კომპ	E	მპა		1,0	1,8	2,1	3,1	3,1	3,6	3,6	4,2
	თავის	E	მპა		3,9	7,4	8,8	13,3	13,3	15,8	15,8	18,9

ინჟინერი ნ. სურგულაძე

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი დ. ახობაძე

ს.ს. „საძძალაძშენპროექტი“ ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №74	ბრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები	საინჟინრო კვლევების განყოფილება ბრუნტების და ფუძეების კვლევის ლაბორატორია

ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი. კუშკინის ქ. №17-ში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა

შ/ბ № 5	ჭაბურღილის სიღრმე h = 10,0 მ	ნიმუშის სახე: მონოლითი	ლაბორ.№ 289

ბრაფიკი № 6

ცდა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშზე



ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები				საწ.	საბ.
ბუნებრივი ტენიანობა		W	%	28,5	26,1
სიმკვრივე გ/სმ³	ბრუნტის	ρ		1,83	1,97
	მშრალი ბრუნტის	ρ_d		1,42	1,56
	ბრუნტის ნაწილაკ.	ρ_s		2,70	
ფორიანობა		n	%	47,4	42,2
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,901	0,731
ტენიანობის ხარისხი		Sr	–	0,85	0,96
პლასტიკურობა	ზედა ზღვარი	W_L	–	0,33	
	ქვედა ზღვარი	W_p	–	0,19	
	რიცხვი	I_p	–	0,14	
კონსისტენციის მაჩვენებელი		I_L	–	0,68	0,51

ბრუნტის დასახელება პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით		
Ip	0,14	თიხნარი

ვერტიკალური დატვირთვა		P	მპა	0	0,05	0,1	0,15	0,2	0,25	0,3	0,35	0,4
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,901	0,855	0,829	0,808	0,791	0,777	00,764	0,752	0,741
ჯდენის მოდული		ℓ_p	მმ/მ	0	24	38	49	58	65	72	78	84
კუმშვადობის კოეფიციენტი		α	10^{-5} პა$^{-1}$		0,092	0,052	0,042	0,034	0,028	0,026	0,024	0,022
დეფორმაციის მოდული (საერთო)	კოშის	E	მპა		1,0	1,8	2,3	2,8	3,6	3,6	4,2	4,2
	იანგის	E	მპა		2,9	5,8	7,8	10,1	13,3	14,0	16,8	17,2

ინჟინერი ნ. სურგულაძე

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი დ. ახობაძე

ს.ს. „საძძალაძშენპროექტი“ ძ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №74	ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები	საინჟინრო კვლევების განყოფილება ბრუნტების და წყლების კვლევის ლაბორატორია
ობიექტის დასახელება	ძ. თბილისი. პუშკინის ძ. №17-ში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა	
ჭაბურღილი № 2	ალების სიღრმე h = 7,0 მ	ნიმუშის სახე: მონოლითი ლაბ. № 275

ბრაფიკი № 7



ბრუნტის დასახელება პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით		
I_p	0,13	თიხნარი

ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები	ბუნებრივი ტენიანობა	სიმკვრივე			ფორიანობა	ფორიანობის კოეფიციენტი	ტენიანობის ხარისხი	პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი
		ბრუნტის	მშრალი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკ.				ზედა ზღვარი	ქვედა ზღვარი	რიცხვი	
		ρ	ρ_d	ρ_s							
	%	გ/სმ^3			%	–	–	–	–	–	–
საშ.	26,6	1,86	1,47	2,70	45,6	0,837	0,86	0,32	0,19	0,13	0,58

ბრუნტის ძვრის მახასიათებლები					
ვერტიკალური დატვირთვა	ექსპერ.	მიღებული			
	ძვრის ძალა	ძვრის ძალა	შინაბანი ხახუნის კოეფიციენტი	შინაბანი ხახუნის კუთხე	ხვედრითი შეჭიდულობა
P	τ	τ	tgφ	φ	c
მპა	მპა	მპა	–	გრად.	
0,05	0,025	0,025	0,20	11	15 კპა 0, 15 კგძ/სმ^2
0,10	0,035	0,035			
0,15	0,045	0,045			

ინჟინერი მ. ჭარბაძე

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი დ. ახობაძე

ს.ს. „საძძალაძშენპროექტი“ ძ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №74	ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები	საინჟინრო კვლევების განყოფილება
		ბრუნტების და წყლების კვლევის ლაბორატორია

ობიექტის დასახელება	ქ. თბილისი. პუშკინის ქ. №17-ში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა			
ჭაბურღილი № 2	აღების სიღრმე h = 10,0 მ	ნიმუშის სახე: მონოლითი	ლაბ. № 277

ბრაფიკი № 8



ბრუნტის დასახელება პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით		
I_p	0,14	თიხნარი

ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები	ბუნებრივი ტენიანობა	სიმკვრივე			ფორიანობა	ფორიანობის კოეფიციენტი	ტენიანობის ხარისხი	პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი
		ბრუნტის	მშრალი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკ.				ზედა ზღვარი	ქვედა ზღვარი	რიცხვი	
		ρ	ρ_d	ρ_s							
	%	გ/სმ³			%	–	–	–	–	–	–
საშ.	25,4	1,99	1,59	2,70	41,1	0,698	0,98	0,32	0,18	0,14	0,53

ბრუნტის ძვრის მახასიათებლები					
ვერტიკალური დატვირთვა	ექსპერ.	მიღებული			
	ძვრის ძალა	ძვრის ძალა	შინაბანი ხახუნის კოეფიციენტი	შინაბანი ხახუნის კუთხე	ხვედრითი შეჭიდულობა
P	τ	τ	tgφ	φ	c
მპა	მპა	მპა	–	გრდ.	
0,05	0,030	0,029	0,22	12	18 კპა 0, 18 კგძ/სმ²
0,10	0,038	0,040			
0,15	0,052	0,051			

ინჟინერი ... მ. ჭარბაძე წამყვანი ინჟინერ გეოლოგი ... დ. ახობაძე

ს.ს. „საძძალაძშენპროექტი“ ძ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №74	ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები	საინჟინრო კვლევების განყოფილება ბრუნტების და წყლების კვლევის ლაბორატორია

ობიექტის დასახელება	ქ. თბილისი. აუშკინის ქ. №17-ში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა			
ჭაბურღილი № 2	აღების სიღრმე h = 11,5 მ	ნიმუშის სახე: მონოლითი	ლაბ. № 278	

ბრაფიკი № 9



ბრუნტის დასახელება პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით		
I_p	0,14	თიხნარი

ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები	ბუნებრივი ტენიანობა	სიმკვრივე			ფორიანობა	ფორიანობის კოეფიციენტი	ტენიანობის ხარისხი	პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი
		ბრუნტის	მშრალი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკ.				ზედა ზღვარი	ქვედა ზღვარი	რიცხვი	
		ρ	ρ_d	ρ_s							
	%	გ/სმ^3			%	–	–	–	–	–	–
საშ.	29,0	1,90	1,47	2,70	45,6	0,837	0,94	0,34	0,20	0,14	0,64

ბრუნტის ძვრის მახასიათებლები					
ვერტიკალური დატვირთვა	ექსპერ.	მიღებული			
	ძვრის ძალა	ძვრის ძალა	შინაბანი ხახუნის კოეფიციენტი	შინაბანი ხახუნის კუთხე	ხვედრითი შეჭიდულობა
P	τ	τ	tgφ	φ	c
მპა	მპა	მპა	–	გრად.	
0,05	0,022	0,023	0,18	10	14 კპა 0, 14 კგძ/სმ^2
0,10	0,032	0,032			
0,15	0,041	0,041			

ინჟინერი ძ. ჭარბაძე

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი დ. ახობაძე

ს.ს. „საძვალაძშენპროექტი“ ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №74	ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები	საინჟინრო კვლევების განყოფილება ბრუნტების და წყლების კვლევის ლაბორატორია
ობიექტის დასახელება	ქ. თბილისი. პუშკინის ქ. №17-ში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა	
ჭაბურღილი № 3	ალების სიღრმე h = 7,5 მ	ნიმუშის სახე: მონოლითი ლაბ. № 281

ბრაფიკი № 10



ბრუნტის დასახელება პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით		
I_p	0,12	თიხნარი

ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები	ბუნებრივი ტენიანობა	სიმკვრივე			ფორიანობა	ფორიანობის კოეფიციენტი	ტენიანობის ხარისხი	პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი
		ბრუნტის	მშრალი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკ.				ზედა ზღვარი	ქვედა ზღვარი	რიცხვი	
		ρ	ρ_d	ρ_s							
	%	გ/სმ^3			%	–	–	–	–	–	–
საშ.	24,1	1,91	1,54	2,70	43,0	0,753	0,86	0,30	0,18	0,12	0,51

ბრუნტის ძვრის მახასიათებლები					
ვერტიკალური დატვირთვა	ექსპერ.	მიღებული			
	ძვრის ძალა	ძვრის ძალა	შინაბანი ხახუნის კოეფიციენტი	შინაბანი ხახუნის კუთხე	ხვედრითი შეჭიდულობა
P	τ	τ	tgφ	φ	c
მპა	მპა	მპა	–	გრდ.	
0,05	0,032	0,031	0,22	12	20 კპა 0, 20 კბძ/სმ^2
0,10	0,041	0,042			
0,15	0,054	0,053			

ინჟინერი მ. ჭარბაძე

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი დ. ახობაძე

ს.ს. „საძვალაძშენპროექტი“ ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №74	ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები	საინჟინრო კვლევების განყოფილება ბრუნტების და წყლების კვლევის ლაბორატორია

ობიექტის დასახელება	ქ. თბილისი. პუშკინის ქ. №17-ში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა			
ჭაბურღილი № 3	აღების სიღრმე h = 12,5 მ	ნიმუშის სახე: მონოლითი	ლაბ. № 284	

ბრაფიკი № 11



ბრუნტის დასახელება პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით		
I_p	0,17	თიხნარი

ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები	ბუნებრივი ტენიანობა	სიმკვრივე			ფორიანობა	ფორიანობის კოეფიციენტი	ტენიანობის ხარისხი	პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი
		ბრუნტის	მშრალი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკ.				ზედა ზღვარი	ქვედა ზღვარი	რიცხვი	
		ρ	ρ_d	ρ_s							
	%	გ/სმ^3			%	–	–	–	–	–	–
საშ.	30,4	1,92	1,47	2,70	45,6	0,837	0,98	0,36	0,19	0,17	0,67

ბრუნტის ძვრის მახასიათებლები					
ვერტიკალური დატვირთვა	ექსპერ.	მიღებული			
	ძვრის ძალა	ძვრის ძალა	შინაბანი ხახუნის კოეფიციენტი	შინაბანი ხახუნის კუთხე	ხვედრითი შეჭიდულობა
P	τ	τ	tgφ	φ	c
მპა	მპა	მპა	–	გრად.	
0,05	0,026	0,026	0,20	11	16 კპა 0, 16 კბძ/სმ^2
0,10	0,036	0,036			
0,15	0,046	0,046			

ინჟინერი ბ. ჭარბაძე წამყვანი ინჟინერ ბეოლოგი დ. ახობაძე

ს.ს. „საძძალაძშენპროექტი“ ძ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №74	ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები	საინჟინრო კვლევების განყოფილება ბრუნტების და წყლების კვლევის ლაბორატორია

ობიექტის დასახელება	ძ. თბილისი. პუშკინის ძ. №17-ში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა		
შ/ბ № 5	აღების სიღრმე h = 6,8 მ	ნიმუშის სახე: მონოლითი	ლაბ. № 287

ბრაფიკი № 12



ბრუნტის დასახელება პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით		
I_p	0,15	თიხნარი

ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები	ბუნებრივი ტენიანობა	სიმკვრივე			ფორიანობა	ფორიანობის კოეფიციენტი	ტენიანობის ხარისხი	პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი
		ბრუნტის	მშრალი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკ.				ზედა ზღვარი	ქვედა ზღვარი	რიცხვი	
		ρ	ρ_d	ρ_s							
	%	გ/სმ^3			%	–	–	–	–	–	–
საშ.	27,0	1,97	1,55	2,70	42,6	0,742	0,98	0,33	0,18	0,15	0,60

ბრუნტის ძვრის მახასიათებლები					
ვერტიკალური დატვირთვა	ექსპერ.	მიღებული			
	ძვრის ძალა	ძვრის ძალა	შინაბანი ხახუნის კოეფიციენტი	შინაბანი ხახუნის კუთხე	ხვედრითი შეჭიდულობა
P	τ	τ	tgφ	φ	c
მპა	მპა	მპა	–	გრდ.	
0,05	0,025	0,027	0,20	11	17 კპა 0, 17 კგძ/სმ^2
0,10	0,039	0,037			
0,15	0,045	0,047			

ინჟინერი ბ. ჭარბაძე წამყვანი ინჟინერ გეოლოგი დ. ახობაძე

ს.ს. „საძიებოპროექტი“ ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ.№74	წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები	საინჟინრო კვლევების განყოფილება ბრუნტების და წყლების კვლევის ლაბორატორია

ობიექტის დასახელება
ქ. თბილისი. პუშკინის ქ. №17-ში
საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა

წყალჯუნქტის დასახელება ჭაბ. № 2	სინჯის აღების თარიღი: 23. 06. 2007 წ.
სინჯის აღების სიღრმე h = 6,5 მ	

ლაბ. № 180

ფიზიკური თვისებები

გამჭვირვალობა	მღვრიე
ფერი	უფერო
ნალექი	თიხოვანი
სუნი	უსუნო
გემო	არ განისაზღვრა
ტემპერატურა	—

სიხისტე

დასახელება	ბერმანული ბრადუსი	მგ/ექვ
საერთო	37,3	13,3
კარბონატული	14,0	5,0
არაკარბონატ.	23,3	8,3

შანგვადობა	O_2	მგ/ლ	7,0

წყლის მარილოვანი შემადგენლობა (კურლოვის ფორმულა)

$$M_{3,6}\frac{SO^4_{68}Cl_{14}HCO^3_{13}}{Na_{76}Ca_{16}}$$

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი	pH	7,3

იონები			მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	Cl^-	284,0	8,00	14,37
	სულფატი	SO_4^{2-}	1810,1	37,68	67,67
	ნიტრიტი	NO_2^-	0,2	კვალი	
	ნიტრატი	NO_3^-	0,3	კვალი	
	ჰიდროკარბონატი	HCO_3^-	427,0	7,00	12,57
	კარბონატი	CO_3^{2-}	90,0	3,00	5,39
	ჯამი		2611,6	55,68	100
კათიონები	ნატრიუმი	$Na^+ + K^+$	973,8	42,34	76,04
	კალიუმი				
	ამონიუმი	NH_4^+	0,3	კვალი	
	კალციუმი	Ca^{2+}	175,3	8,75	15,72
	მაგნიუმი	Mg^{2+}	55,9	4,59	8,24
	რკინის ჟანგი	$Fe^{2+} + Fe^{3+}$	0,1	კვალი	
	რკინის შანგი				
	ჯამი		1205,4	55,68	100

მინერალიზაცია

მშრალი	ექსპერიმ.	მგ/ლ	3860,4
ნაშთი	გამოთვლ.		3610,5

ნახშირორჟანგი CO_2

თავისუფალი CO_2		მგ/ლ	არ არის
აბრესიული CO_2	გამოთვლ.		არ არის

ს.ს. „საძიებოპროექტი“ ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ.№74	წყლის ქიმიური ანალიზის შ ე დ ე ბ ე ბ ი	საინჟინრო კვლევების განყოფილება ბრუნტების და წყლების კვლევის ლაბორატორია

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
ქ. თბილისი. პუშკინის ქ. №17-ში
საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა

წყალაუნქტის დასახელება ჭაბ. № 3	სინჯის აღების თარიღი: 23. 06. 2007 წ.
სინჯის აღების სიღრმე h = 3,8 მ	

ლაბ. № 181

ფიზიკური თვისებები

გამჭვირვალობა	მღვრიე
ფერი	უფერო
ნალექი	თიხოვანი
სუნი	უსუნო
გემო	არ განისაზღვრა
ტემპერატურა	—

სიხისტე

დასახელება	ბერმანული ბრადუსი	მგ/ექვ
საერთო	40,0	14,3
კარბონატული	16,8	6,0
არაკარბონატ.	23,2	8,3

შანგვადობა	O_2	მგ/ლ	7,5

წყლის მარილოვანი შემადგენლობა (კურლოვის ფორმულა)

$$M_{3,5}\frac{SO^4_{71}Cl_{13}HCO^3_{11}}{Na_{74}Ca_{17}}$$

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი	pH	7,3

	იონები		მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	Cl^-	248,5	7,00	12,89
	სულფატი	SO_4^{2-}	1840,7	38,32	70,54
	ნიტრიტი	NO_2^-	0,2	კვალი	
	ნიტრატი	NO_3^-	0,3	კვალი	
	ჰიდროკარბონატი	HCO_3^-	366,0	6,00	11,05
	კარბონატი	CO_3^{2-}	90,0	3,00	5,52
	ჯამი		2545,47	54,32	100
კათიონები	ნატრიუმი	$Na^+ + K^+$	920,4	40,02	73,67
	კალიუმი				
	ამონიუმი	NH_4^+	0,3	კვალი	
	კალციუმი	Ca^{2+}	188,3	9,40	17,31
	მაგნიუმი	Mg^{2+}	59,7	4,90	9,02
	რკინის ქვეშანაბი	$Fe^{2+} + Fe^{3+}$	0,1	კვალი	
	რკინის შანაბი				
	ჯამი		1168,8	54,32	100

მინერალიზაცია

მშრალი	ექსპერიმ.	მგ/ლ	3739,1
ნაშთი	გამოთვლ.		3539,0

ნახშირორჟანგი CO_2

თავისუფალი CO_2		მგ/ლ	არ არის
აბრესიული CO_2	გამოთვლ.		არ არის

ს.ს. „საძალაძმშენპროექტი“ ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ.№74	წყლის ქიმიური ანალიზის შ ე დ ე ბ ე ბ ი	საინჟინრო კვლევების განყოფილება ბრუნტების და წყლების კვლევის ლაბორატორია

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
ქ. თბილისი. პუშკინის ქ. №17-ში
საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა

წყალაუნქტის დასახელება შ/ბ № 5	სინჯის აღების თარიღი: 23. 06. 2007 წ.
სინჯის აღების სიღრმე h = 6,7 მ	

ლაბ. № 182

ფიზიკური თვისებები

გამჭვირვალობა	მღვრიე
ფერი	უფერო
ნალექი	თიხოვანი
სუნი	უსუნო
გემო	არ განისაზღვრა
ტემპერატურა	—

სიხისტე

დასახელება	ბერმანული გრადუსი	მგ/ექვ
საერთო	42,0	15,0
კარბონატული	14,0	5,0
არაკარბონატ.	28,0	10,0

შანგვადობა	O_2	მგ/ლ	8,9

წყლის მარილოვანი შემადგენლობა (კურლოვის ფორმულა)

$$M_{3,4}\frac{SO^4_{75}Cl_{11}HCO^3_{10}}{Na_{71}Ca_{19}Mg_{10}}$$

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი	pH	7,3

	იონები		მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	Cl^-	213,0	6,00	11,46
	სულფატი	SO_4^{2-}	1890,7	39,36	75,17
	ნიტრიტი	NO_2^-	0,2	კვალი	
	ნიტრატი	NO_3^-	0,3	კვალი	
	ჰიდროკარბონატი	HCO_3^-	305,0	5,00	9,55
	კარბონატი	CO_3^{2-}	60,0	2,00	3,82
	ჯამი		2469,2	52,36	100
კათიონები	ნატრიუმი	$Na^+ + K^+$	859,2	37,36	71,35
	კალიუმი				
	ამონიუმი	NH_4^+	0,3	კვალი	
	კალციუმი	Ca^{2+}	196,3	9,80	18,72
	მაგნიუმი	Mg^{2+}	63,4	5,20	9,93
	რკინის ქვეშანაბი	$Fe^{2+} + Fe^{3+}$	0,1	კვალი	
	რკინის შანაბი				
	ჯამი		1119,3	52,36	100

მინერალიზაცია

მშრალი	ექსპერიმ.	მგ/ლ	3654,2
ნაშთი	გამოთვლ.		3444,9

ნახშირორჟანბი CO_2

თავისუფალი CO_2		მგ/ლ	არ არის
აბრესიული CO_2	გამოთვლ.		არ არის

დ ა ს კ ვ ნ ა

წყლის სტანდარტული ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით

ლაბ. №№180-181-182

ჰიდროგეოლოგიური პირობები: წყალშემცავი გრუნტი №№2-3-5 ჭაბურღილების უბნებზე h_2=6.5 მ, h_3=3.8 მ და h_5=6.7 მ სიღრმეებზე წარმოდგენილია თიხნარებით.

ფილტრაციის კოეფიციენტი $K_ფ$<0,1 მ/დღ

საპროექტო კონსტრუქციის მოკლე დახასიათება:

დასაპროექტებელი კონსტრუქცია რკინა - ბეტონის საძირკველი.

გამოკვლეული წყალი - გარემო:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონის მიმართ:

ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

1. პორტლანდცემენტის სახ. სტანდარტი 10178-76 გამოყენებისას:
   ა) საშუალოდ აგრესიულია W_4 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;
   ბ) სუსტად აგრესიულია W_6 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;
   გ) არააგრესიულია W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ.
2. პორტლანდცემენტის სახსტანდარტი 10178-76 კლინკერში ჩანართებით C_3S არაუმეტეს 65%, C_3A არაუმეტეს 7%, $C_3A + C_4AF$ არაუმეტეს 22%, წიდაპორტლანდცემენტის და აგრეთვე სულფატმდგრადი სახსტანდარტი 22266-76 ცემენტების გამოყენებისას არააგრესიულია W_4-W_6-W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

II. არმატურის მიმართ:

ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;
ბ) საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

ს ნ და წ 2.03. 11. 85
„სამშენებლო ნაგებობათა დაცვა კოროზიისაგან"
(ცხ. №№5, 6, 7)

3 ივლისი, 2007 წ. ანალიზი ჩაატარა: ნ. სურგულაძე

წამყვანი ინჟინერ-გეოლოგი დ. ახობაძე

დანართი 1

ბრუნტის სიმკვრივის (ρ გ/სმ^3) ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა

ბრუნტის სიმკვრივის (ρ გ/სმ^3) ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა

№№	ρ_i	$\rho^{ნ}$	$\rho^{ნ} - \rho_i$	$\left(\rho^{ნ} - \rho_i\right)^2$
1	1.83	1.91	0.08	0.0064
2	1.85	1.91	0.06	0.0036
3	1.86	1.91	0.05	0.0025
4	1.86	1.91	0.05	0.0025
5	1.86	1.91	0.05	0.0025
6	1.90	1.91	0.01	0.0001
7	1.91	1.91	0	0
8	1.91	1.91	0	0
9	1.92	1.91	-0.01	0.0001
10	1.92	1.91	-0.01	0.0001
11	1.93	1.91	-0.02	0.0004
12	1.93	1.91	-0.02	0.0004
13	1.95	1.91	-0.04	0.0016
14	1.97	1.91	-0.06	0.0036
15	1.99	1.91	-0.08	0.0064
Σ	28.59	-	-	0.0302

გრუნტის სიმკვრივის (ρ გ/სმ^3) ნორმატიული (საშუალო) მნიშვნელობა ტოლი იქნება

$$\rho^{ნ} = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n}\rho_i = \frac{28.59}{15} = 1.91 \quad \text{გ/სმ}^3$$

$$\rho^{ნ} = \mathbf{1.91}\ \text{გ/სმ}^3$$

შემოწმება უხეშ შეცდომაზე $\left|\rho^{ნ} - \rho_i\right| \le \nu\sigma_{გად}$

როცა n=15, ν=2.64

$$\sigma_{გად} = \sqrt{\frac{1}{n}\sum_{i=1}^{n}\left(\rho^{ნ} - \rho_i\right)^2} = \sqrt{\frac{0.0302}{15}} = 0{,}04$$

$$\nu\sigma_{გად} = 2{,}64 \times 0{,}04 = 0{,}11$$

რადგანაც მოცემულ ცხრილში დაცულია პირობა $\left|\rho^{ნ} - \rho_i\right| \le \nu\sigma_{გად}$, ρ_i-ს ყველა მნიშვნელობა ვარგისია გაანგარიშებისათვის.

საშუალო კვადრატული გადახრა

$$\sigma = \sqrt{\frac{1}{n-1}\sum_{i=1}^{n}\left(\rho^{ნ} - \rho_i\right)^2} = \sqrt{\frac{0.0302}{15-1}} = 0{,}05$$

ვარიაციის კოეფიციენტი

$$v = \frac{\sigma}{\rho^{ნ}} = \frac{0.05}{1.91} = 0{,}03$$

გამოვთვალოთ გრუნტის სიმკვრივის მნიშვნელობები მეორე ზღვრული მდგომარეობისათვის (დეფორმაციის მიხედვით)

α=0,85. როცა n-1=15-1=14, გვაქვს t_α=1,08

სიზუსტის მაჩვენებელი

$$\rho = \frac{t_\alpha \mathrm{v}}{\sqrt{n}} = \frac{1{,}08 \times 0{,}03}{\sqrt{15}} = 0{,}01$$

გრუნტის უსაფრთხოების კოეფიციენტი

$$\mathrm{k_გ} = \frac{1}{1 \pm \rho}$$

$$\mathrm{k_გ} = \frac{1}{1+0{,}01} = 0{,}99 \qquad \mathrm{k_გ} = \frac{1}{1-0{,}01} = 1.01$$

სიმკვრივის მნიშვნელობები ტოლი იქნება

$$\rho = \frac{\rho^{ნ}}{\mathrm{k_გ}}$$

$$\rho_{\parallel}^{1} = \frac{1.91}{0{,}99} = 1.93 \text{ გ/სმ}^3 \qquad \rho_{\parallel}^{2} = \frac{1.91}{1{,}01} = 1.89 \text{ გ/სმ}^3$$

გამოვთვალოთ სიმკვრივის მნიშვნელობები პირველი ზღვრული მდგომარეობისათვის (ამტანუნარიანობის მიხედვით)

α=0,95. როცა n-1=15-1=14, გვაქვს t_α=1.76

სიზუსტის მაჩვენებელი

$$\rho = \frac{t_\alpha \mathrm{v}}{\sqrt{n}} = \frac{1.76 \times 0.03}{\sqrt{15}} = 0{,}014$$

გრუნტის უსაფრთხოების კოეფიციენტი

$$\mathrm{k_გ} = \frac{1}{1+0{,}014} = 0{,}986 \qquad \mathrm{k_გ} = \frac{1}{1-0{,}014} = 1.014$$

სიმკვრივის მნიშვნელობები ტოლი იქნება

$$\rho_{|}^{1} = \frac{1.91}{0{,}986} = 1.94 \text{ გ/სმ}^3 \qquad \rho_{|}^{2} = \frac{1.91}{1{,}014} = 1.88 \text{ გ/სმ}^3$$

გაანგარიშება ჩაატარა  დ. ახობაძე

დანართი 2

ბრუნტის სიმტკიცის მახასიათებლების (**φ°** და **c** კპა) ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა

შემოწმება უხეშ შეცდომაზე $|\bar{\tau} - \tau_i| \le \nu\sigma$ გად

№№	p=0.5კგძ/სმ^2			p=1.0კგძ/სმ^2			p=1.5კგძ/სმ^2		
	τ_i	$\bar{\tau} - \tau_i$	$(\bar{\tau} - \tau_i)^2$	τ_i	$\bar{\tau} - \tau_i$	$(\bar{\tau} - \tau_i)^2$	τ_i	$\bar{\tau} - \tau_i$	$(\bar{\tau} - \tau_i)^2$
1	0.22	0.05	0.0025	0.32	0.05	0.0025	0.41	0.06	0.0036
2	0.25	0.02	0.0004	0.35	0.02	0.0004	0.45	0.02	0.0004
3	0.25	0.02	0.0004	0.36	0.01	0.0001	0.45	0.02	0.0004
4	0.26	0.01	0.0001	0.38	-0.01	0.0001	0.46	0.01	0.0001
5	0.30	-0.03	0.0009	0.39	-0.02	0.0004	0.52	-0.05	0.0025
6	0.32	-0.05	0.0025	0.41	-0.04	0.0016	0.54	-0.07	0.0049
Σ	1.60	-	0.0068	2.21	-	0.0051	2.83	-	0.0119
	$\bar{\tau}_{0.5} = \frac{1.60}{6} = 0{,}27$			$\bar{\tau}_{1.0} = \frac{2.21}{6} = 0{,}37$			$\bar{\tau}_{1.5} = \frac{2.83}{6} = 0{,}47$		
	$\sigma_{\text{გად}} = \sqrt{\frac{0.0068}{6}} = 0{,}03;$			$\sigma_{\text{გად}} = \sqrt{\frac{0.0051}{6}} = 0{,}03;$			$\sigma_{\text{გად}} = \sqrt{\frac{0.0119}{6}} = 0{,}04;$		
	როცა n=6, ν=2,07;			როცა n=6, ν=2,07;			როცა n=6, ν=2,07;		
	$\nu\sigma_{\text{გად}}$=2,07×0,03=0,06;			$\nu\sigma_{\text{გად}}$=2,07×0,03=0,06;			$\nu\sigma_{\text{გად}}$=2,07×0,04=0,08;		
	0.05<0.06			0.05<0.06			0.07<0.08		

რადგანაც მოცემულ ცხრილში დაცულია პირობა $|\bar{\tau} - \tau_i| \le \nu\sigma_{\text{გად}}$, τ_i-ს ყველა მნიშვნელობა ვარგისია გაანგარიშებისათვის.

ბრუნტის სიმტკიცის მახასიათებლების (**φ°** და **c** კპა) ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოსათვლელი ცხრილი

№№	p_i	τ_i	p_i^2	$\tau_i p_i$	$\bar{\tau}$	$\bar{\tau}-\tau_i$	$(\bar{\tau}-\tau_i)^2$
1	0.5	0.22	0.25	0.110	0.27	0.05	0.0025
2	0.5	0.25	0.25	0.125	0.27	0.02	0.0004
3	0.5	0.25	0.25	0.125	0.27	0.02	0.0004
4	0.5	0.26	0.25	0.130	0.27	0.01	0.0001
5	0.5	0.30	0.25	0.150	0.27	-0.03	0.0009
6	0.5	0.32	0.25	0.160	0.27	-0.05	0.0025
7	1.0	0.32	1.00	0.320	0.37	0.05	0.0025
8	1.0	0.35	1.00	0.350	0.37	0.02	0.0004
9	1.0	0.36	1.00	0.360	0.37	0.01	0.0001
10	1.0	0.38	1.00	0.380	0.37	-0.01	0.0001
11	1.0	0.39	1.00	0.390	0.37	-0.02	0.0004
12	1.0	0.41	1.00	0.410	0.37	-0.04	0.0016
13	1.5	0.41	2.25	0.615	0.47	0.06	0.0036
14	1.5	0.45	2.25	0.675	0.47	0.02	0.0004
15	1.5	0.45	2.25	0.675	0.47	0.02	0.0004
16	1.5	0.46	2.25	0.690	0.47	0.01	0.0001
17	1.5	0.52	2.25	0.780	0.47	-0.05	0.0025
18	1.5	0.54	2.25	0.810	0.47	-0.07	0.0049
Σ	18	6.64	21	7.255	-	-	0.0238

ბრუნტის სიმტკიცის მახასიათებლების (φ° და c კპა) ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა

გრუნტის სიმტკიცის მახასიათებლების ($tg\varphi^{ნ}$ და $c^{ნ}$) ნორმატიული მნიშვნელობები გამოითვლება ფორმულებით

$$tg\varphi^{ნ}=\frac{1}{\Delta}\left(n\sum_{i=1}^{n}\tau_i p_i-\sum_{i=1}^{n}\tau_i\sum_{i=1}^{n}p_i\right)$$

$$c^{ნ}=\frac{1}{\Delta}\left(\sum_{i=1}^{n}\tau_i\sum_{i=1}^{n}p_i^2-\sum_{i=1}^{n}p_i\sum_{i=1}^{n}\tau_i p_i\right),\quad \text{სადაც}$$

$$\Delta=n\sum_{i=1}^{n}p_i^2-\left(\sum_{i=1}^{n}p_i\right)^2$$

ყველა სიდიდეს ვიღებთ ზემოთმოყვანილი ცხრილიდან

$\Delta=18\times21-18^2=54$

$$tg\varphi^{ნ}=\frac{1}{54}(18\times7.255-6.64\times18)=0.205$$

$tg\varphi^{ნ}=0,205$; $\varphi^{ნ}=12°$

$$c^{ნ}=\frac{1}{54}(6.64\times21-18\times7.255)=0.164\ \text{კგძ/სმ}^2$$

$c^{ნ}=0,16$ კგძ/სმ^2=16 კპა

$\tau=f(p)$ გრაფიკის განტოლებას ექნება ასეთი სახე:

$\tau=0,205p+0,164$

განტოლება მოწმდება $\bar{\tau}$ და $\bar{p}$ საშუალო მნიშვნელობების ჩასმით

$$\bar{\tau} = \frac{6.64}{18} = 0.369 \qquad \bar{p} = \frac{18}{18} = 1.0$$

$$0.369 = 0.2056 \times 1 + 0.164$$

$$0.369 = 0.369$$

შედეგების დამთხვევა მოწმობს $tg\varphi^{ნ}$ და $c^{ნ}$ მნიშვნელობების გამოთვლის სისწორეს.

საშუალო კვადრატული გადახრა შესაბამისად იქნება

$$\sigma_{tg\varphi} = \sigma_\tau \sqrt{\frac{n}{\Delta}} \; ; \qquad \sigma_c = \sigma_\tau \sqrt{\frac{1}{\Delta} \sum_{i=1}^{n} p_i^{\,2}} \; ;$$

სადაც

$$\sigma_\tau = \sqrt{\frac{1}{n-2} \sum_{i=1}^{n} \left(\bar{\tau} - \tau_i\right)^2}$$

$$\sigma_\tau = \sqrt{\frac{0.238}{18-2}} = 0.04 \text{ კგძ/სმ}^2$$

$$\sigma_{tg\varphi} = 0{,}04 \sqrt{\frac{18}{54}} = 0{,}023 \text{ კგძ/სმ}^2$$

$$\sigma_c = 0{,}04 \sqrt{\frac{21}{54}} = 0{,}025 \text{ კგძ/სმ}^2$$

ვარიაციის კოეფიციენტი შესაბამისად შეადგენს

$$v_{tg\varphi} = \frac{\sigma_{tg\varphi}}{tg\varphi^{ნ}} \qquad v_c = \frac{\sigma_c}{c^{ნ}}$$

$$v_{tg\varphi} = \frac{0.023}{0{,}205} = 0{,}112 \qquad v_c = \frac{0.025}{0{,}164} = 0{,}152$$

გრუნტის მახასიათებლების საშუალო მნიშვნელობების შეფასების სიზუსტის მაჩვენებელი

$$\rho = t_\alpha v$$

გამოვთვალოთ **tgφ** და **c** მნიშვნელობები მეორე ზღვრული მდგომარეობისათვის (დეფორმაციის მიხედვით).

$\alpha = 0{,}85$. როცა $n-2 = 18-2 = 16$, გვაქვს $t_\alpha = 1{,}07$

$$\rho_{tg\varphi} = 1{,}07 \times 0{,}112 = 0{,}12$$

$$\rho_c = 1{,}07 \times 0{,}152 = 0{,}16$$

გრუნტის უსაფრთხოების კოეფიციენტი

$$k_{\text{გ}} = \frac{1}{1 \pm \rho}$$

გრუნტის მეტი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ρ-ს წინ ვიღებთ ნიშანს „მინუსს".

